

ქართული  
ეკურნალობის ისტორია

და

ქართული მკურნალობით განსწავლული



სიმონ ცოტაძე  
მისი 40 წლის მოღვაწეობის ნიშაო

აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

---

ტფილისი

ს. ქ. უ. ს პოლიგრაფ. განу. მე-3 სტამბა  
1923



# ქართველი მკურნალობის წარმოშილება

და

სიმონ დავითის ძე ცოცაძე.

ქართველ ერმა მკურნალობის მნიშვნელობა უძველეს  
დროიდამ შეიგნო, როგორც სჩანს, ამის ისტონიული ცნო-  
ბებიც არის, რომ ქართველ ერს, მკურნალობის შეგნება და  
მისი საქიროება, ქრისტეზედ ბევრათ-უწინარეს დროს სკოდ-  
ნით, თვით იმ დროს, როცა საქართველოში, მამასახლისური  
წესები არსებობდა, ანუ ახლანდელის ენით რომ ითქვას, რეს-  
პუბლიკური წესები. მაშინ თურმე, მცხეთის სამამასახლისოში,  
ქართველ ექიმთა რიცხვიც იყო.

არის ცნობა, რომ იმ დროს, ანუ საქართველოს რეს-  
პუბლიკურის ხანაში, ვიღრე ფარნაოზ მეფე გამეფდებოდა, მი-  
ნამ მთელ საქართველოში, სულ ქართველი ექიმები იყვნენ,  
მაშინ ქართველებში ერთ უცხო ექიმს და დოსტაქარსაც ვერ  
ნახავდა ვინმე. იმ დროს, ქართველ ექიმთ და დოსტაქართ  
სკოლებიც სულ საქართველოში იყო დახსნილები, ქართველთ  
ექიმნი და დოსტაქარნი საქართველოში იღებდნენ საექიმო  
სწავლა განათლებას- ასე სწერს თათულა ექიმი 1781 წ.

ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დროიდამ მოყოლებული, ვიდ-  
რე მირიან მეფის დრომდის, ქართველთ მკურნალობის ისტო-  
რიული ცნობები ძრიელ მკრთალათ გახლავსთ.

ქრისტეს დაბადების დროს კი, ანუ ადრეკ მეფის ფამს,  
საქართველოში, მკურნალობა ისე წინ წავიდა, რომ იმ დროის  
ქართველთ, კარგათ იცოდნენ „ბედაურთ მკურნალობა“ ამი-  
სივე საფუძველი გახლავთ ის გარემოებაც, რომ თვით მირიან

მეფის შეილმა ბაქარმაც კი იცოდა თურმე „ბედაურთა მკურნალობა“ და მასაც კი აქვნდა ამ „ბედაურთ მკურნალობის“ სამკურნალო წიგნი, ანუ „კარაბალიმი“ რომელ წიგნითაც თვით ბაქარ მეფეც მკურნალობდა. ამ სამკურნალო წიგნს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ სახელათ „ბაკურიანს“ უწოდებს, არის მიზეზი ჩვენ არ ვიცით.

ქრისტეს შემდეგ, ანუ III საუკრნის დამდევიდამ, ქართველთ შორის მკურნალობა წინ მიღის, ვ საუკუნეში, ქართველნი სხიადასხვა სამკურნალო ცნობებს სთარგმნიან ბიზანტიურის ენიდამ და ამ თარგმანებს იგინი უმატებენ იმ სამკურნალო ცნობებს, რომელნიც ქართველებმა სთარგმნეს ქრისტეს წინეთ, იმ დროს, როცა რომაელებს საქართველო ეჭირათ, სამკურნალო წიგნების სხვადასხვა ცნობები ქართველებმა ერთათ შეაერთეს და მით შექმნეს ქართული სამკურნალო წიგნები, რომაელთ საექიმო ოერმინებიც ბევრია ქართულ ენაში დარჩენილი. ქართული სტომანჭი — ლათინურათ სტომანჭის.

III საუკუნის დამდევიდამ VIII საუკუნემდე გადის ეჭიმობის საქმე სრულ უჩინრათ, ხოლო VIII საუკუნის ნახევარს, ქართველები უახლოვდებიან არაბთა მკურნალობას და ამათის ენიდამ ქართულ ენაზედ სთარგმნიან „კარაბალიმს“. ეს წიგნი მიგვაჩინა ქართული სამეცნიერო მკურნალობის დაარსების ტრაქტათ, ანუ ქართული მკურნალობის. ამ თარგმანის შესახებ დარჩენილია ასეთი ცნობებიც: არაბებს ბიზანტიურის ენიდამ უთარგმნიათ იპოკრატის „კარაბალიმი“ და ამ იპოკრატისთვის არაბებს უწოდებიათ ჯანაოზი, ანუ ჯანლისი.

საკურველი ერთი ის არის, რომ ქართველები, იმ დროს, ბიზანტიას უფრო კარგათ იცნობდნენ, ვიდრე არაბებს, რატომ მოხდა, რომ ქართველებმა იმ დროს, ბიზანტიულების იპოკრატის საექიმო წიგნი ქართველებმა არაბული ენიდამა სთარგმნეს ქართულ ენაზედ და არა ბიზანტიურს ენიდამა, თვით იპოკრატის დედნიდამ, ამის ასახსნელათ არის ასეთი

ცნობებიც, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ და ვთქვათ შემდეგიც.

იპოკრატის წიგნის თარგმნა, ქართველებმა დაიწყეს იქ დროს, როცა იპოკრატი ცოცხალი იყო, მერე კი მერვე საუკუნეში, როცა ჯანაოზის წიგნი სთარგმნეს ქართულს ენაზედ, მაშინ, იქმნება ისიც კი არ იცოდნენ, რომ არაბთა ჯანაოზიბიზანტიელი იპოკრატე იყო, ესეც შეიძლება ძალიან აღვილათ, რადგანაც არაბულს ენაზედ ჯანაოზ ექიმის „კარაბადინს“ როდი აწერია თურქე მისი ცნობა, რომ იგი წიგნი არაბულ ენაზედ ბიზანტიური ენიდამ არის ნათარგმნი, და იგი ეკუთვნის იპოკრატს, ყველაფერი შეიძლება.

ქართველებში როცა ჯანაოზ ექიმის „კარაბადიმი“ ითარგმნა და დაიწერა, მის შემდეგ გავრცელდა ქართველებში, რომ ჯანაოზ ანუ, ჯანლიზ ექიმი არაბთა მსწავლული ექიმი იყო, ასე და იმგვარათ პირველ დროს, ქართველებმაც ვერ შეიტყეს, რომ ჯანაოზი ბიზანტიელების იპოკრატი იყო, მერე კი შეიტყეს და სახტათ დაჩიჩნ. მაგრამ მას ველარ ეშველი რა, ჯანაოზის სახელი დარჩა ქართველებში, არაბეთის საკუთრებათ.

ასე და ამ გვარათ ძველადგანვე იყო დარჩენილი სხვადასხვა ისტორიული ცნობები, რომ ქართული მკურნალობა და სამკურნალო სკოლები საქართველოში დაარსებული იყო ქრისტეს წინეთ, ხოლო მათი არსებობის წესიერების ცნობებმა ვერ მოახწიეს ჩვენ დრომდინ, ვIII საუკუნეში კი სჩანს ქართულ ენაზედ საექიმო მკურნალობის წიგნები და მცოდნე კაცები, ექიმნი, დოსტაქრნი და მკურნალნი.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მერვე საუკუნეში ექიმათ იწოდებოდნენ ისინი, ვინცა ავადმყოფებს სინჯავდნენ და არჩენდნენ, მკურნალნი კი ბრინა ისინი, ვინც წამლებს ამზადებდნენ, ამისი ისტორია ასეთია, ჩვენ არ ვიცით, თუ არაბულს ენაზეც როგორ არის ეს სახელები, კარგათ სჩანს სხვადასხვა ექიმთა და დოსტაქართა ცხოვრებიდამ, რომ ძველად

ანუ VIII საუკუნიდამ საქართველოში ქართველებს თავიანთი სამკურნალო სკოლები ჰქონიათ, და ამ სკოლების სახელმძღვანელოდ ყოფილი მიღებული ჯანაოზ ექიმის კარაბადიმი, საიდანაც სწავლობდნენ საექიმო სწავლას ექიმთა და ღოსტა-ქართა მოწაფეებიც.

იმ დროის ქართველნი კარგათ სწავლობდნენ ჯანაოზ ექიმს, ახევე ქართულ და უცხო ტომთა მკურნალობასაცა. იმ დროის სკოლების სწავლა განათლების საქმეს მოზღვეს პრწყინვალე ხანა, რასაც ცხათათ ასაბუთებენ სირიიდან საქართველოში შემოსული ქართველი მოციქულები, ესენი რომ-დენათაც იყვნენ წმიდა საქმის მიმდევარნი, იმდენადვა იგინი იყვნენ ქალდეური ექიმობის ბკოდნენი და მასთანვე აქიმი და ღოსტა-ქარანი, რომელნიც თურმე კარგათ სწამლობდნენ თავიანთ მონასტრის ახლ მოცხოვრებთ სოფლებში.

VIII საუკუნის ქართულ საექიმო სკოლების ხანის მო-სდევს ის ბრწყინვალე შედევი, რომ ქართველნი არაბულის ენის მიბაძვით კარგად უახლოვდებიან სპარსელ მკურნალობა-საც და ბოლოს ქართველები დიდის ხალისით და პატივის-ცემით სთარგმნიან სპარსელის ენიდამ ქართულს ენაზედ, ვრცელს „კარაბადიმს“ ხოჯა ყოფილისას. ამ თარგმნის „კა-რაბადიმის“ ერთი ცალი, ხუცურათ ნაწერი, ფართო ზომის, ვრცელი ტომი, კარგათ ხელნაწერი ხუცურის ასოებით და-ცულია ჩვენს „წერაკითხვის სამართველოს მუზეუმში. იგი ეპოვნა გრიგოლ გურიელს — გურიაში.

ქართული მკურნალობის ასპარეზი რაკი გამშვენდა ჯა-ნაოზ ექიმის „კარაბადიმით“, გას მოჰყვა ხოჯა ყოფილის უკა-რაბადიმი „და ამათსავსე, არსებობას მოჰყვა სპარსელის ენი-დამ სხვადასხვა „კარაბადიმების“ თარგმნა და ბოლოს შარი-ზადეს „კარაბადიმიც“. „მუშთა-ნაფი-შია“ ჩვენის ქართული სკოლების სახელმძღვანელო და საუნჯეთ ეს სამი „კარაბადიმი“ მიგვაჩნია, მაგალითებრ, ჯანაოზ ექიმის, ხოჯა ყოფილის და

შარიე ზაღეს „კარაბალიმი“. ჩვენთვის ესენიც კმარა, სხვა „კარაბალიმებს“ არ ვახსენ ებთ, თუმცა არც მათი რიცხვიც არას მცირე, მათში ბევრი იშვიათი და ძვირფასი „კარამალიმები“ მოიპოვება, რომლებშიაც ანუსხულია თითქმის ყველა მკურნალობანი რითაც დღეს კაცობრიობის წინაშე სანთელივით ან-თია მსოფლიო მკურნალობის ასპარეზედ.

ქართულ სკოლებში, ქართველ ექიმებს საექიმო სწავლი-სათვის ასეთი წესები ჰქონიარ მიღებული: საჭიროთ მიგვა-ჩნდა რომ აწინდევლმა ქართველ ექიმებმა ეს გარემოება იცოდ-ნენ, ამიტომ აქ მოგვყავს ამ სწავლის წესები მოკლეთ, ამ გა-რემოების ასახსნელათ ჩვენ გვაქვს სხვადა სხვა ბიოგრაഫული ცნობები, ძველ ქართველ მკურნალთა, დოსტაქირთა და ექიმ-თა შესახებ, რითაც ვსარგებლობთ ჩვენ.

ამის მაგალითია მეთვრამეტე საუკუნის, მეფე ერეკლეს ქარის ექიმის, თათული ყარავანის ცნობები, რომელ ექიმიც თავის დროს გამოჩენილი ექიმი იყო, მასთან იგივე გახლდა სამეცნ სახლის ექიმი, იმავე დროს იგი იყო ექიმების მოწა-ფეთა გამომცდელი, თუ არა მისი ნებართვა, ისე ვერც ერთი ექიმის მოწაფე ვერ ელირსებოდა ექიმობას.

თათულა ექიმი ამბობს შემდეგს: საქართველოს ექიმი და დოსტაქირნი ასე განისწივლებოდნენ, მაშ ახლა ჩვენ შე-გვიძლიან მოვიყვანოთ ის ცნობებიც რაც კი დარჩენილია ჩვენ ძველი მკურნალობის შესახებ, ეს საჭიროთ მიგვაჩნია ჩვენ, რაღანაც XIX საუკუნეში, ქართველთ შორის ხშირათ სწარდებიან ესეთი პირები, რომელნიც თამამათ ლაპარაკობენ, რომ ქართველ ძველის დროის მკურნალებს სულ არაფერი ცოდნა ჰქონდათო, იგინი იყვნენ მკითხავ — „ჯადობაზები“ და ზნახარკებიო. ასე ლაპარაკებს ფართო მიმართვა მიეცა 1830 წლებში, ამის დამწყობი იყო რუსის მონარქიული ექიმი და დოსტაქირნი, მათი ქადაგება ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ უმეცრული ქადაგების ამყოლნი გახდნეთ თვით ქარ-თველებიც, თვით იმათაც დაიწყეს ლაპარაკი, რომ ქართულ

„კარაბაღიმებს“ სწერდნენ ქართველი უმეცარ და უფიც ეჭიმ-ბაშები, ჯადობაზები, მკითხავები და „ზნახარკებით“.

ეს კი ყველაფერი ტყუილი გახლავთ, ასე არ იყო ქარ-თული მკურნალობის სწავლის საქმე, ქართულ წიგნებს სწერდნენ ქართულად უმაღლესად განათლებულნი გონიერი ჟაცები, როგორც ეჭიმნი, ისე მკურნალინი და დოსთაქარნი, და არა „ზნახარკა“ ქალები, მკითხავები თათრის აბაშები, რომელთაც ქართული კითხვაც კი, იცოდნენ. ქართულ წიგ-ნებს „კარაბაღიმებს“ სწერდნენ ისეთი განათლებულნი კუცე-ბი, რომელთაც კარგათ იცოონენ უცხო ტომთა მკურნალო-ბა და მათი ენებიც, მაგალითებრ ქალდებური ენა, არაბული, სპარსული, თურქული ბიზანტიურ, რომაული და სხვანი.

განა შეიძლება ასეთი კაცების უმეცრებათ დასახელება და ამათი ნაწერი „კარაბაღიმებისაც“ მასხარათ აღება, მაგ-რამ ვინა გვკითხავს ჩვენა, ბურთი და მოედინი ისეთ პირთა მკურნალების ხელშია მოთავსებული, რომელთაც როგორც უჯობთ ისე სჯიან ქართულ მკურნალების და დოსტაქარების შესახებ, რასაკვირველია უმეტესათ კი უცხო ტომთა მკუნალ-ნი და დოსტაქარნი, სავსებით არა მცნობნი ქართულის მკურნალობის და საეჭიმო წიგნების, ასეთ პირთა საუწყებ-ლათ, რომ ქართველი ეჭიმნი, დოსტაქარნი და მკურნალიც რომ არ იყვნენ ისეთი უმეცრები და უფიცნი, როგორც ეს დღეს მიაჩნიათ ჩვენს მტრებსა და მოყვარეებს, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ისევ ქართულ ეჭიმთა, დოსტაქართა და მკურნალ-თა ისტორიულს ცნობებს, რომ ესეც იქმნება ცხადი დამამტკი-ცებელი საბუთი, რომ ქართველ ეჭიმნი, დოსტაქარნი და მკურნალი იყვეს ბრძენი და ფალოსოფ მეტნიერ ეჭიმნი. აი ესეც მათი სწავლა—მეცნიერის წესები.

ქართული საეჭიმო სწავლა განათლებით მიღებული ეჭი-მი იყო კარგი მწიგნობარი, მან ლამაზათ იცოდა ქართული წერა-კითხვა, იცოდა კარგათ ქართული მკურნალობის ისტო-რია, იცოდა კარგათ ქართული მწიგნობრობა და საქართვე-

ლოს ისტორია, ასევე იგა დახელოვნებული იყო ქართული „კარაბაღიმების“ წერაში, მათვე იცოდნენ კარგათ უცხო ტომთა ისტორიები და მკურნალობანიც.

საქართველოში რამდენიც ექიმი იყო, მკურნალი და დოსტაქარი, ანუ რამდენიც ამ მეცნირებათა კაცები იყვნენ, იმდენივე არსებობდა საქართველოში მათივე საეჭიმო სკოლები.

ყველა ექიმსა, მკურნალსა, და დოსტაქარს საეჭიმო სკოლა გახსნილი ჰქონდა თავის სახლში, თვითო ექიმს აქვნდა უფლება, რომ მას მიეღო მოწაფეთ მხოლოთ სამი შეგირდი.

ექიმს ერთ ოთახში ჰქონდა თავის საცხოვრებელი ბინა მეორე ოთახში ჰქონდა სკოლა, მესამე ოთახში ამზადებდა წამლებს, მეორხე ოთახი დანიშნული ჰქონდა მას ავათყოფების მიხალებათ, ზოგს ექიმსა მეტი შენობაც ეკავა, ეს შეძლებაზედ იყო დამოკიდებული.

ექიმს წამლების შესანახათ ჰქონდა თაროები, მასთან ჰერ ქვეშ ჩამოკიდებული თოკით ხონჩები, აქა იქ გაბმული თოკები, რაზედაც ჩამოკიდებული იყო სხვადასხვა წამლეულობის მასალები, ზოგი მასალები ხონჩაზედ ელავა, სკოლა ასე იყო მოწყობილი, სკოლის ერთ კუთხეში იღვა ტახტი, ზედ ეწყო საეჭიმო წიგნები და ზოგიც სხვადასხვა საეჭიმო იარაღები და ქაღალდები ნუსხებისათვის.

სტოლს აქეთ იქით გვერდებზედ აქვნდა მიღვმული ფიცრის სკამები, ამ სკამებზედ სხდებოდნენ მოწაფენი, შუაში მდგომს სტოლს შემოუსხლებოდნენ გარს და სწავლობდნენ თსტატისაგან მკურნალობას.

ყოველ ექიმს უნდა ჰქონიყო ჯანაოზ ექიმის „კარაბაღიმი“ ვისაც ეს არ ჰქონდა, იგი არც ექიმთ ჩაითვლებოდა, შეიძლება ექიმს სხვა „კარაბაღიმები“ არა ჰქონიყო, ჯანაოზ ექიმის „კარაბაღიმი“ კი აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, ვისაც ეს არ აქვნდა, იგი ხალხის თვალში ექიმთ არ გამოჩნდებოდა, არ დაფასდებოდა, რაღვანაც მას ჯანაოზ ექი-

მის „კარაბალიში“ არა აქვსო. ხალხის თვალში ეს ჯანაოზი იყო საჭირო.

ამიტომაც იყო მიღებული, რომ ყოველ ქართველ მკურნალს, ანუ ექიმს, უნდა კარგად სცოდნიყო ქართული წერა-კითხვა, უნდა შესძლებოდა მას კარგათ „კარაბალიშის“ გადაწერა, თუ ეს მისთვის საჭირო იქნებოდა, ამიტომაც ძველათ ექიმნი, დოსტაქარნი და მკურნალნი ხშირად გადასწერდნენ „კარაბალიშს“.

1630 წელს, ერთმა ექიმმა გადასწერა ჯანაოზ ექიმის „კარაბალიში“ სხვის გაღუწერა, ამ გადაწერაში აიღო ერთი ძროხა, ერთი ცხენი, ერთი ვერცხლის კულა და ოთხი თხა.

მიღებული იყო კიდევ ასეთი წესები, რომ ყოველი ექიმი ვალდეკული იყო, რომ მახაც უნდა ერთი სატკიფრის წამალი შეემატებინა ქართულის საექიმო მკურნალობისათვის, ამის სამაგიეროთ მას ეძლეოდა სამეფო სახლის ექიმისაგან სა-ჩუქარიც, ზოგს აზნაურის შვილობა, ზოგს ოქრო და ზოგს ვერცხლის ნივთები.

ამის მაგალითებიც არის მომხდარი XVII და XVIII საუკუნეშიაც ექიმი თათულა ყარაევის წინაპრებმა ექიმობის გამო მიიღეს აზნაურობის შვილობა და მათ შთამამავლნი დღემდისაც აზნაურები იყენენ.

სხვანიც არიან ასეონი, რომელთა წინაპრებსა აზნაურობა ექიმობის წყალობით მიუღიათ.

იყო ასეთი შემთხვევაც, რომ ექიმი მოარჩენდა სამეფო პირს, მაშინ მოარჩენისათვის ექიმს აძლევდნენ აზნაურობას, ძვირფას ნივთებს, ამის მაგალითებიც ბევრია ჩვენ ისტორიაში.

ექიმი მოწაფეს უყვანდა ასე: ვისაც სურვილი აქვნდა ექიმობის შესწავლის, რამდენის ხნისაც უნდა ყოფილიყო მოწაფე, მაგალითად პატარა, თუ გინდ დიდი, იმას ექიმი ოც წელიწადზედ ნაკლებ არ აიყვანდა.

თქმულება იყო, რომ ექიმობა ისეთი ძნელი საქმეა, რომ ოც წლის განმავლობაში მოსწავლე მორტოთ ოც წამლო-

გას შეისწავლისო, მკურნალობა კი არსებობს რამდონიმე ათასნაირიო,

ათ წელიწადს ექიმი მარტო ექიმობის მიხვედრას ასწავლიდა, ათი წლის შემდეგ ნელანელა დაწყებინებდა მკურნალობის შესრულებას, მაგრამ წინეთ უბრალო მკურნალობის, მერე ეს დიდს სატკივრებზე გადადიოდა, ყველაფერი დიდის სიფრთხილით ხდებოდა,

მოწაფის პატრონს მასწავლებლისათვის ხუთი წლის განმავლობაში უნდა ეძლია მხოლოთ ფქვილი, ბრინჯი, ლობიო, მარილი, ერბო, ზეთი, ხახვი და სხვა ასეთნი, ამათ ყველას ზომა აქვნდა, იყვნენ ისე მოწაფენიც, რომელნიც მასწავლებელთან იყვნენ და სწავლობდნენ, ასეთნი სურსათით არაფერს იხდიდნენ. ამათ მცირე გადასახადი აქვნდათ.

ვისაც მასწავლებლის სახლში აქვნდათ ბინა, ის იხდიდა სურსათს.

ღრო სწავლისა ერთი იყო, ორივე შაგირდებისთვის, გარედგან მიმსვლელიც ოც წელიწადს რჩებოდა და სკოლაში მცხოვრებიც, თუ მოწაფეს საეჭიმო ნიჭი შეეტყობოდა, იმას ექიმობის დაწყობა უფრო მაღე ეძლეოდა, ხუთმეტ წელიწადს, ამაზე აღრე იგი მას ვერ ეღისებოდა, ასე ძნელი იყო მაშინ ექიმობის სწავლის მიღება, მაშინ ექიმებს კვირაობითაც და უქმე დღეებშიაც ჰქონდათ სწავლა, მოწაფის დამთავრების და სწავლის დროც ასე იყო მოწესებული.

ექიმი მასწავლებელი როცა დარწმუნდებოდა, რომ მის მოწაფეს მკურნალობა კარხათ შეეძლო, რასაც მასწავლებელი თვით გამოსცდიდა და ნახამდა, ნამეტურ წამლების მომზადებაში, რაც მაშინ ერთობ ძნელი საქმე იყო, ნამეტურ წამლების კეთების ცოდნა, რასაც მოწაფე ათ წელიწადს უნდებოდა რომ ესწავლა.

მაშინ ისევე ძრიელ ძნელი იყო ექიმობის შესწავლა, ნამეტურ წამლების მომზადება, თქმულება არის ცნობებით,

რომ ზოგი მოწაფე ვერც 20 წელიწადს სწავლობდა ექიმობას, ზოგი 25 და 30 წელიწადსაც რჩებოდა მოწაფეთ, ასე რომ მოწაფე ეღირსებოდა 50 წელს მიხწეულ ექიმის ლირსებას.

მკურნალისათვის, ანუ ექიმისათვის დიპლომის მიღებაც ასე იყო, მასწავლებელი ექიმი თავის მოწაფით უნდა წასულიყო სამეფო ექიმს წინაშე და უნდა ეთქვა ცნობა, რომ ჩემთან მოწაფემ სწავლა დაამთავრა, გთხოვთ გამოცდილება მოხდეს მისი.

ამ გვარათ მაშინდელი ეგზამენი, გამოცდა, დიპლომის მიმცემი სამეფო სახლის ექიმი გახლდათ, ამის მეტს სხვას არავის აქვნდა ამის უფლების მიცემა. სამეფო ექიმს თავის ხელშევეითიც ჰყვანდა — როცა სამეფო ექიმი სახლში არ იყო, მის მაგიერობას მის ხელ ქვეითი ასრულებდა.

ექიმი და მოწაფე ერთათ მივიღოდნენ სამეფო ექიმის სახლში, ექიმი მოწაფეს დაუწყებდა კითხვების მიცემას, ეს მიტომ, რომ მოწაფე სამეფო ექიმისაგან შეიძლება შევკრთლიყო.

ექიმი ჰყითხავდა მოწაფეს: თავის ტკივილი რა და რისაგან წარმოსდგება, ან რამდენ ნაირია თავის ტკივილი?

მოწაფეს უნდა მიეცა პასუხი, იუ პასუხში შეცდომა იყო, მაშინ იმას სამეფო ექიმი გაასწორებდა.

ექიმი თავის ტკივილიდამ გადავიდოდა თვალებზედ, პირზედ, კბილებზედ, და ასე და ამ გვარათ ჩაჰუებოდა მთელს კაცის აგებულობაზედ, როგორც შინაგან, ისევე გარეგან ნაწილებზედ.

ამ გვარათ მისცემდა კითხვებს ექიმი მოწაფეს, სამეფო ექიმიც ისმენდა მათ კითხვა-მიგებას, თუ რამ შეცდომას შეამჩნევდა იმას გაუსწორებდა, თუ შეცდომები ბევრი აქვნდა, მაშინ მოწაფის გამოცდა გადაიდებოდა შემდეგ დროისათვის, ესეთი გამოცდა ხან რამდენჯერმე მოხდებოდა, როცა მოწაფე ყველაფერში გასწორდებოდა, მის შემდეგ მოწაფის საქმეც გათავსებოდა.

ამის შემდეგ სამეფო ექიმის წინაშე დაიწყებოდა გამოცდა ექიმსა და მოწაფის შორის წამლების კეთების შესახებ, თუ როგორ კეთდებოდა წამლები და რითი ზავდებოდა იგი.

წამლების კეთების გამოცდის ცოდნას უფრო მეტს ყურადღებას იქცევდნენ, უნდა ითქვას, რომ იყვნენ ისეთი ექიმიც, რომელნიც სახლში კი არ ექიმობდნენ, არამედ იგინი წამლების კეთებას მიზდევდნენ.

ასეთი მცოდნე მკურნალი ექიმი, ანუ წამლების მკეთებელი სამეფო სახლსაც ჰყვანდა. ეს ხელ ჭვეითი იყო გამომცდელი მაშინ, როცა ექიმი თავის მოწაფეს წამლების კეთებას ჰკითხავდა და სცდიდა.

ასეთ წამლის მკეთებელთაც ჰყვანდათ მოწაფენი, რომელნიც იქ სწავლობდნენ მარტო წამლების მომზადების ოსტატობას, ესევე მასწავლებელი ამზადებდა სამხედრო ექიმების მიმღევარ მოწაფეებსაც, მათ ასწავლიდა ქერძოთ წამლების კეთებას, სამხედრო ექიმთ მომზადებელნიც ესენი იყვნენ.

ჯარა და სამხედრო ექიმების სკოლებიც იყო, აქაური მასწავლებელი და მოწაფენიც ემორჩილებოდნენ სამეფო სახლის ექიმის და მის ხელჭვეითს, მთელს ამ საექიმო ამალის, სამხედრო ექიმობის მიმღევართ სკოლების საქმეებიც ექვემდებარებოდა სამეფო ექიმს, უმეტესათ ჯარა ექიმობის მცოდნე ექიმებს, ამის მცოდნე მეცნიერებს, ასეთ მასწავლებლების და მათ მოწაფეებს სამეფოსაგან დახვარებაც ეძლეოდათ, განსწავლულ მოწაფეს ექიმობის დიპლომის მიღება ესე იყო, სამეფო ექიმი მისცემდა ექიმობის ნებართვას, ამის შემდეგ ეს ახალი მოწაფე საქვეყნოთ გამოჩნდებოდა ექიმის სახელით. ამისივე ცნობას მოწაფის მასწავლებელი გაიმეორებდა საქვეყნოთ, რომ ჩემი შეგირდი დღეიდამ უკვე ექიმობის მცოდნე არის, მან შეასრულა თავისი სწავლის სავალდებულო ვალი, დღეს იგი უკვე ექიმად არის ცნობილი.

მათ აქვნდათ ასეთი წესიც: ახალი ექიმი გამართავდა სადმე ბალში ნადიმს, იქ მიიწვევდნენ თბილისის ყველა ექი-

ქებს, ნადიმზედ განცხადებული იქნებოდა, რომ ეს მოწაფე თვლება ექიმ-მკურნალათ, ეს ნადიმი იყო ახალი ექიმის დალოცვა, ამ ნადიმს დაესწრობოდა სამეფო ექიმიც, წამლების ჰკეთებელი მკურნალიც, ვინც წამლებს ამზადებდა და ამის ცოდნა ჰქონდა იმას მკურნალი ეწოდებოდა, როგორც სჩანს ასეთი მკურნალები იყვნენ მაშინდელი აფთიექარები და პროვიზორებიც, წამლების კეთება უამათოთ არავის შეეძლოთ, ესეც ერთობ ძნელი საქმე იყო, ვერც ერთი ექიმი ვერ გამოჩნდებოდა ხალხში, ექიმობას ვერ დაიწყობოდა, მინამ მას ექიმობის კარგი ცოდნა არ ექნებოდა, ეს ყოვლათ შეუძლებელი იყო მაშინ, გაგონებაც არ იყო, რომ შეუგნებელ კაცსა ექიმობა დაეწყო, ამიტომაც იყო, რომ მაშინდელი ექიმებისაგან ერთი შეცდომაც არ მოხდებოდა, ერთი მარცხი, ან ვნების მიცემა.

ასე ძნელი იყო ძველათ ექიმობის შოვნის უფლების მიღება, ამიტომაც იყო, რომ ქართველ ექიმთა, დოსტაქართა შეცდომების გაგონებაც არ იყო მაშინ.

ქართველ ექიმთა დამხობა და მათი სწავლის დამახინჯება აი რამ გამოიწვია, რაც ნამდვილი არის და მართალი.

1801 წელს საქართველო ოუსეთს დაუკავშირდა, მის შემდეგ საქართველოში შემოვიდნენ რუსეთის ექიმები და დოსტაქრები, ქართველ ერს მკურნალობა რუსის ექიმებშა და დოსტაქრებშა დაუწყეს, ექიმების რიცხვი მაშინ ძრიელ მცირე იყო, ერთი ექიმიმი და ორი დოსტაქარი თბილისში იყო, ერთი ექიმი და ორი დოსტაქარი კახეთში, ერთი ექიმი და ორი დოსტაქარნიც ქართლში, ეს იყო მაშინ სულ ექიმების რიცხვი, ესენი უნდა გასძლოლოდნენ მთელ კახეთის და ქართლის ხალხს.

იმავე დროს, მთავრობაშ ალკრძალა სასტიკათ, რომ ვრნეც მთავრობის ნება დაურთველათ ექიმობა არ დაიწყოსო, თორებ იგი სასტიკათ დაისჯებაო, ეს გამოცხადებული იქმნა 1805 წელსა, ვინაიდგან იმ დროს, თვით რუსის მთავრობის

მოხელეთა შორისაც იყვნენ ისეთნი, რომელნიც რუსული წიგნებით ექიმობდნენ ხახლს, წამლებს აძლევდნენ ჩუმათ, ესენი ხშირათ ხალსს ვნებდნენ კიდეც, ასეთ პირობებმა და ექიმობის სიძირებმ, ექიმთა ხიმცირებ ქართველებზედ მეტათ ცუდი ზეგავლენა იქონია, ხშირათ სნეულთათვის ეძებდნენ ექიმს, მაგრამ მისი შოვნა აღვილი არ იყო, თუ საღმე რუსის ექიმს იშოვნიდნენ, ისიც მათ ისე ძვირათ დაუჯდებოდათ. რომ მის სიძირე მათ ბედსაც აწყევლინებდა, ამ გარემოებამ დაუიქრია ქართველი ერი, მიტომ მათში გაჩნდნენ ისეთი კაცები, რომელთაც დაიწყეს ასე ლაპარაკი.

ხალხო, რაზედ ვიხოცებით ასე უწამლოთ და უექიმოთ, ჩვენი მეფეების დროს, რომ რუსული ექიმები არ იყვნენ ჩვენში, განა მაშინ ჩვენ არა გვქონდა წამლები და ან ექიმები არა გვყვანდნენ, დღესაც ხომ ჩვენში მრავლად არის დარჩენილი მათი „კარაბალიმები“ წავიკითხოთ ისინი, ვისწავლოთ მათი დარიგება და ჩვენც ისე დავიწყოთ ექიმობა, როგორც ჩვენი ძველები ექიმობდნენ.

მართლაც მათ მოხდებნეს „კარაბალიმები“ მალე იშოვნეს ქართული წიგნები და დაიწყეს მათი კითხვა, მალე ისიც მოახერხეს, რომ მათ ამ „კარაბალიმის“ დახმარებით მკურნალობაც დაიწყეს, მაგრამ მათ, როგორც მოუმზადებლებს და უვიცების, რომელთაც ქართული „კარაბალიმების“ წაკითხვის გავებაც არ აქვნდათ და ნამეტურ წამლების შეზავების თასტატობა, ასეთ უვიცებმა იწყეს ექიმობა.

ამიტომაც მათ აქიმობას თან დაჰყვა დიდი შეცდომები და უმეცრება, ამათ სიკეთის მაგიერ ფნება უფრო მეტი მოჰკონდათ, რადგანაც იგინი ექიმობდნენ ქართული „კარაბალიმების“ სწორეთ ცოდნით კი არა, არამედ თავიანთ შეცდომობით „კარაბალიმის“ ცნობის გაუგებრობა და ავანტურულების არ ცოდნით, ამიტომაც ასეთ უმეცარ ტყუილ ექიმებისაგან ხალმში ავათმყოფობის წინაშე, ვნება უფრო მეტი ითესვებოდა, ვიღრე სიკეთე, ეს გარემოება კიდევ სძრავდა ხალმში ლანძლვა-

გინებას და გმობას ქართული „კარაბაღიმების“ და ქართული ექიმების, იმ ღროს, ის კი არავინ იცოდა, რომ ის ექიმნი არც ექიმები იყვნენ და მათ არც ქართული „კარაბაღიმების“ ცოდნა ჰქონდათ, ნათქვამია ტაშტი გატყდა და ხმა გავარდაო. ასე მოხდა მაშინაცა, რასაც მაშინ უმეცარი ექიმბაშები ჩალიოდნენ, რასაც იგინი ხალხს ხოცავდნენ, ყველა ჩის მიზეზები სულ ქართულ „კარაბაღიმებს“ ატყდებოდა თავზედ და ამ სახით ქართული „კარაბაღიმები“ სწნდებოდა, როგორც უმეცრების ნაყოფი, უმეცარ ექიმთაგან დაწერილები, ამიტომაც მაშინდელმა რუსის მთავრობამ დაუწყო დევნა, როგორც ექიმების, ისევე მეცნიერულ საექიმო „კარაბაღიმების“ რომლის ცნობა მთავრობას არ აქვნდა.

რუსეთის მთავრობის წინაშე სწორეთ ამ გარემოებამ დაბადა ყალბი შეხედულობა ქართულ სამკურნალო სამეცნიერო წიგნებისა და „კარაბაღიმებზედ“ ამიტომაც მთელი ჩვენი წარსული თავის სამკურნალო ავ-კარგიანობით და ლირსებით სულ უარყოფილ იქმნა და ყველა ქართული „კარაბაღიმები“ სულ უმეცრების ნაყოფათ მიღებული, იგინი იყო ვიღაც „ზნახარების“ ნაწერები, მაგრამ ეს კი არ იყო ასე, ესეთი შეხედულობა მთავრობის წინაშე ქართულ საექიმო მეცნიერულ წიგნებზედ დაბადა იმ გარემოებამ, რომ ქართულ „კარაბაღიმების“ მკითხველებს აღარა ჰყვანდათ ძველებურათ კარგათ—მომზადებული მასწავლებლები, არც სამეფო ექიმი და დოსტაქარნი, არც მომზადებული მკურნალობა, არც მათი შეძინებულნი გამოცდაში, რომ ექიმს და დოსტაქარს უნდა მკურნალობა კარგათ სცოდნოდა, რუსეთის ხელში ქართველი ექიმისათვის ისეთი ღრო დადგა, რომ უმეცარი კაცი წაიკითხავდა ერთს „კარაბაღიმს“ და მის შემდევ ის დაიწყობდა, ჩუმათ ექიმობას, ასეთ უვიცისაგან რასაცვირველი კარგი არაფერი მოხდებოდა ცუდი და ბოროტებანი ბევრი.

ასეთ პირობებში მოთავსდა ქართული მკურნალობის საქმე და იგი გახდა მსხვერპლი და ზვარაკი ვიღაც რუსის „ზნა-

ხარკების” მარჩილების, მკითხავების და თათრის ექიმბაშების, რომელ ექიმბაშებმაც ქართული წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ, ასეთ უსამართლო პირობებში ჩაგარდა ქართული მკურნალობის ღირსება, მისი ვითარება და მას მიენიჭა სახელი უვიცობის, უმეცრების და უსარგებლობის, ესე დამცირდა ქართული მკურნალობის ღირსება, ქართველი ერის წინაშე, რომ თვით ქართველმა ერმა დაუწყო გმობა თავიანთ წინაპართავან დატოვებულს სამეცნიერო „კარაბადიმებს“ ქართულ მკურნალობის საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველ ექიმთა ძირფასი „კარაბადიმები“ სხვადასხვა სავაჭრო დუქნებში სულ სახევ-ქალალდათ იყიდებოდა გირვანქობით,

ვინ იცის რამდენი „კარაბადიმია“ ამ გვარათ დახეული, დაფხრეწილი და მოსპობილი თვით ჩვენ თვალთ წინ, როდესაც ერთი ფურცელიც არ უნდა დახეულიყო, ყოველივე უნდა შეკრებილო და დაცულიყო, შეკრების მაგიერ ქართველები კი ხევდნენ და ფხრეწდენ ქართულ „კარაბადიმებს“ და უმეცართა ექიმთა შეცდომებს სულ ამ „კარაბადიმებს“ აწერამდნენ, რადგანაც ცოდნა არავის აქვნდა მის, რომ ექიმი სულელობას ჩაღიოდა თავის უმეცრებით და არა ქართული „კარაბადიმის“ უვარევისობით.

ჩვენდა სასიამოვნოთ მაინც ასეთი მდგომარეობა ქართული მკურნალობისა თუ ბევრისათვის არა, ზოგისთვის კი დიდათ საყურადღებო იყო და მასთან სავალალოც ის პირობები, რომ ქართულ მკურნალობას მიენიჭა სახელი უვიცობის, უმეცრების და სხვაც ბევრიც ასეთების.

სხვათა შორის, ამ გარემოებას, დიდი ყურადღება მიაჭირა ვინმე ქართველ მწიგნობარმა, ბუნებით ნიჭიერმა მშრომელმა, ქართული „კარაბადიმდის“, შესწავლის მოტრფიალემ, სიამნ ცოტაძე, ამან დაიწყო თამამათ ასე ფიქრები, რაც არც მოკლებული იყო საღს ლოლიურ დასკვნას.

„ნუთუ მართლა ქართული „კარაბადიმები“ სულ უმეცრებისაგან არის ნაწერი, ნუ თუ ეს მკურნალობა უვიცობა

გახლავსთ. არა, არა, ამას ცოდნა უნდა, გავება უნდა, შესწავლა კარგათ, და მერე ლაპარაკი მათ შესახებ, ამისთანა მეცნიერული წიგნების შესწავლა, ამას მოითხოვს, უამისოთ კი ყოვლათ უსამართლობა იქნება, რომ კართულ მკურნალობის შესახებ ლაპარაკი, ძაგება და უარყოფვა ვინმეშ გაბედოს.

ამიტომაც ამ კაცმა განიძრახა ქართული „კარაბაღიმების“ შესწავლა, მათი ზედმიწევნით კარგათ გაცნობა, ყოველნაირ მხრივ, ნამეტურ წამლების კეთება, წამლების ზომიერებით ხშარება, ისიც ქართულის ტერმინებით, რაც ბევრის ქართველის დღევანდელი მკითხველისათვის გაუგებარი და მიუხვედრიც არის, მაგრამ სიმონ ცოტაძემ ყველაფერი დასძლია, მან „ქართულ „კარაბაღიმებს“ ყველაფერი ძირიანათ გაუგო, შეისწავლა მათი ყოველი სტრიქონი, ყოველი წამლობის აღწერა, ამ გვარათ ამან იკითხა ისეთი წიგნები და მათ სწავლობდა თითქმის 40 წელიწადი, როცა დაატყო ამან თავის თავს, რომ მას შეუძლიან ქართული „კარაბაღიმებით“ მკურნალობა, მხოლოთ მაშინ გაბედა მკურნალობის დაწყება.

ითქმის ისიც, რომ ქართულს მკურნალობაში არის ბევრი ისეთი მკურნალობა და წამლობა, რის მოსაზრებაც ევროპის და ნამეტურ რუსულ მედიცინას სულ არაფერი მოეპოვათ, ამის მოსაზრებაც არა ძვესთ მათ, მიტომაც სიმონ ცოტაძემ უფრო დიდის გაორკეცებულის ენერგიით დაიწყო ქართული „კარაბაღიმების“ შესწავლა.

ასე და ამ გვარათ მან წაიკითხა აუარებელი ძეელი „კარაბაღიმები“ თითქმის ქართული ექიმობის დაარსების დღიდგან მოყოლებული ჩვენ დრომდინ.

რაღაც ასეთი „კარაბაღიმების“ შეძენა მაშინ ძნელი იყო, შეძენა არ შეიძლებოდა, ამიტომ იფიქრა მან: ამ ძველი „კარაბაღიმის“ შოვნა და შერე მათ გადაწერა თავის საკუთრებათ, მალე იშოვნა თხოვნით ძეელი ნაწერები და დაიწყო მათი გადაწერა, უნდა მოვიხსენოთ, რომ ამ გადაწერაში მან გამოიჩინა დიდი ენერგია და ნიჭი, გადასწერა აუარებელი

„კარაბალიმები“ თითქმის ყველა ისინი რითაც ძველათ ქართ-ველი გქიმნი და დოსტაქარნი იღებდნენ სწავლას, ყველა ეს „კარაბ, დიმები“ მან მოათავსა სულ ხუთ ტომში; რომელ „კარაბალიმების“ გადაწერაც ითხოვდა დიდს ენერგიას, საგქიმო ცოდნას და მასთანვე ყველაფერი ავათმყოფობის მიხვედრასაც. ეს რომ ასე გახლავთ და მართალი ამას გამოაჩენს თვით ამ „კარაბალიმების“ ცნობებიც, რასაც მოვიყვანთ აქ და მისი დაფასება სინდისიერი მკითხველისათვის მიგვინდია, იმ ამისი მაგალითებიც: მისი გადაწერილები.

I. ტომი პირველი „კარაბალიმი“ მოთავსებული 756 ავან-ტყოფობა და მკურნალობა დაწვრილებით.

II. თვალის კვრისათვის და ლიბრისათვის. ამ „კარაბალიმში“ არის ანუსხული 818 თვალის წამლობა.

III. ტომი „კარაბალიმი“ წელთ რიცხვაობისთვის, ამ მე-სამე ტომში მოთავსებულია 1071 სნეულება და მათი წამ-ლობა.

IV. კარაბალიმი სასირცხოსი და მის მკურნალობისათვის. აღწერილია 1097 ავანტყობა თავის მკურნალობის ცოდნით.

V. ტომში აწერილია აუარებელი მკურნალობის რიცხვი 1135 მაგრამ სატკიცრების აღწერა ისე დაწვრილებით არის აღწერილი, რომ ეს ბევრად ფართოა სხვა ტომებზედ.

ამ „კარაბალიმებში“ აწერილია ჯანაოზ ექიმის „კარა-ბალიმი“ მერვე საუკუნის, ხოჯა ყოფილის, XII საუკუნის, შარაი ზადეს „კარაბალიმი“ საშუალო საუკუნის, ამათ გარდა სხვაც ბევრი „კარაბალიმებია“ აღწერილი, როგორც სპარსუ-ლის ენიდამ ნათარგმნი, ისევე არაბულიდამ, ქალდეურიდამ, სომხურიდამ, ბერძნულიდამ და რომაული ენიდამ და სხვათაც.

სიმონ ლავითის ძე ცოტაძე აგერ ორმოცი წელიწადი მეტია რაც ამ ძველი წიგნებით მკურნალობს და ამდენი ხნის განმავლობაში მას ერთი შეცდომაც არ დაუშვია თვისი მკურ-ნალობაში.

ამ ცნობილის მკურნალის შესახებ ვრცელი წერილი

დავბეჭდე გაზეთ „საქართველოში“ 1919 წელს და გაზეთ „ლომისში“ 1923 წელსა. ეხლა აქ ვიტყვი კიდევ მოკლეთ ახალ ცნობებს რაც არ იქნება მეტი და მით შეიძლება რომ სიმონ ცოტაძის შრომა უფრო კარგათ დაფასდეს. საქმე აი რაში გახსოვთ.

სიმონ ცოტაძე არის განსწავლილი ქართულის „კარაბა-დიმებით“ იგი არის შვილი და ნაყოფი ქართულის „კარაბა-დიმების“ ქართული საექიმო მეცნიერების, დღეს რასაც სი-მონ ცოტაძე მკურნალობს და ივანტყოფებს არჩენს იგი არის ნაყოფი ქართული საექიმო მეცნიერებისა, ეს არის ქართველი ერის და საექიმო „კარაბადიმების“ ლირსებას, ქართული სა-მეცნიერო მკურნალობის საკუთრება.

პატივ საცემია სიმონ ცოტაძე იმითიც, რომ მას ქარ-თულ „კარაბადიმებში“ შეუსწავლია ისეთი ავანტყოფობანი, რის წარმოდგენაც ბევრთ სულ არა აქვთ. უმთავრესათ ეს კაცი არჩენს ისეთ ავანტყოფებას, რასაც რუსეთის ექიმები ვერ არჩენდნენ.

სიმონ ცოტაძეს საექიმო მკურნალობას რომ თავი შექ-ლებისდაკვალათ—მოუტანია დიდი სიკეთე და ამაგი ჩვენის ხალხისათვის, ამას დაასაბუთებენ შემდეგი ცნობები, რომელიც სიმონ ცოტაძეს მიუღია ესენი იმ პირებთაგან, რომელნიც მას სხვა და სხვა დროს მოურჩენია და განუკურნავს ავადმყოფობი-საგან, ეს არის მისი მკურნალობის მაღლობის გადახდის წე-რილები. ასეთი წერილები მას ბევრი აქვს. ჩვენ მარტოთ ეს ვიკარეთ.

### სხვა და სხვა მაღლობის წერილები.

1) 1 აპრილს, 1903 წელს, სიღნახის მცხოვრები, მოქა-ლაქენიკოლოზ არტემის ძე იაროვი მაღლობას სწირავს მასზედ, რომ შენ ჩემი შვილი ბნელისაგან მოარჩინეო.

2) 28 მარტს 1900 წელს, ლუარსაბ ოთარაშვილი ნა-ტარიუს მღებროვის დამტკიცებით მაღლობას სწირავს, რომ მე ბნედით ვიყავ ავათ და თქვენ მომარჩინეთო.

3) 26 ოქტომბერის, 1899 წელსა, სოფელ ძლევის ჯვრის მცხოვრები, გორის მაზრა, ილარიონ გამრეკელი მადლობას სწირავს, რომ მე ბნედით ვიყავ ავათ და შენ მომარჩინეთ ამას ხელს აწერს სოფლის მამასახლისი და ბეჭედი აქვს დასმული.

4) აგვისტოს 20, 1889 წელს, გორის მაზრის სოფ. ბრეთის მცხოვრებელი გლეხი — იასე ედილაშვილი სწირამს მადლობას რომ ჩემი შვილი პეტრე ბნედით იყო ავათ და თქვენ მომარჩინეთო, ეს მოწმობა შემოწმობილია მამასახლის ბეჭედის დასმით.

5) დეკემბრის 15 1899 წელს, სოფელ გორის მაზრის ძლევის ჯვარში მცხოვრები გლეხი ბესარიონ ტეტიას ძე ქოქაშვილი მადლობას სწირავს მაზედ, რომ მე ბნედით ვიყავი ავათ და თქვენ მომარჩინეთო, ეს მადლობა შემოწმობილია სოფლის მამასახლისის ბეჭედის დასმით.

6) 1898 წლს გორის მაზრის მცხოვრები სოფელ დირბში გლეხი წყალობა ბეჭანიშვილი, მადლობას სწირავს, რომ მე ბნედით ვიღავი ავათ და თქვენ მომარჩინეთო მადლობა ხელმოწერილია და ბეჭედ დასმით.

7) 14 გიორგობისთვეს 1899 წელს, გორის მაზრის სოფელ ბრეთის მცხოვრები გლეხი პეტრე ნინიასძე ჯანაშვილი მადლობას სწირავს მასზედ, რომ ჩემი შვილი, ქალი ანანო, იყო ბნედით ავანტუფობი და თქვენ მომირჩინეთო. ეს მადლობა შემოწმობილია სოფლის მამასახლისის ხელმოწერით და ბეჭედის დასმით.

8) 1912 წელს, ვანო ჩიხლაძე მცხოვრები კრასნოგორსკი ტუპიკში № 8 მადლობას სწირამს მაზედ რომ მე შემცდარი ვიყავი და თქვენ მომარჩინეთო.

9) 2 აგვისტოს, 1923 წელს, მიხეილის ქუჩაზედ, მცხოვრები № 151, ალექსი მასლოვი, მადლობას სწირავს მასზედ, რომ ჩემი ცოლი მყავდა სულით ავანტუფი და შენ მოარჩინეთ.

10) 1920 წელსა, კოჩუბოვევსკი ქუჩაზედ, სახლი № 5,

იოგანა ირბესგონი მადლობას სწირავს მასზედ, რომ დიდი სნეულობისაგან მომარჩინეთ.

ახეთი მადლობის ცნობები სიმონ ცოტაძეს ბევრი აქვს მიღებული — დასასრულ უნდა მოვიყვანოთ ერთი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ნიჭიერს ახალგაზრდა ბაგრატ ცქვიტინიძეს, რომელიც საინჟინერო (მიზანდარი) ინსტიტუტში სწავლობს:

В Мае месяце с/г. я заболел психиатрикой, и лечившись у Семена Цотадзе в продолжении одного месяца, вылечился у него за маленькое вознаграждение.

(Не смотря на заключение специалистов, что болезнь имеет длительный характер). Объявляя об этом в газете приношу Семену Цотадзе, большую благодарность, как человеку вылечившего меня почти даром из за моих тяжелых материальных условий, и лечившего очень умело, вследствие понимание характера болезни.

### ბაგრათ ცქვიტინიძე.

უნდა თამამათ ითქვას, რომ ამ სნეულებათა საუნჯის ცოდნა, სიმონ ცოტაძეს აქვს შესწავლილი ქართული კარაბადიმებიდან, ამიტომ ამის შემდევ ქართული კარაბადიმების მანხარათ აგდება იქმნება დიდი უსამართლობა და დაბრიუვება. გამოიღეთ უველამ უურებიდამ ბამბა, გაახილეთ თვალები და ქართველების ძველის მკურნალობის მასხარათ აგდებას თავი გაანებეთ. მის მაგიერ იწყეთ მისი რიგიანად შესწავლა და გაცნობა ყოველნაირის მხრით, დაწვრილებით. იქ ბევრს ისდო სნეულებათა მკურნალობას გაუცნავთ, რის შეგნებაც რესულს ექიმობას სულაც არ მოეპოვება.

ქართული მკურნალობის ისტორია არის ვრცელი ტომი, დღემდე დაუბეჭდავი.

61

‡ 551

## მთკლე ღროში გამოიცემა

ქართლის გლეხვაცობის ბალოსნობის ისტორიიდან  
ისაია ფურცელაძის მოღვაწეობა ბალოსნობის ასპარეზედ.

ამ წიგნის ფასი ორი შაური

№ 471.

მთავსამლიტგამ № 943 ტირაჟი 1000.